

დოპინგ-კონტროლის პროცედურები. სპორტსმენტა უფლებები და მოვალეობები

ბროშურა მოგვითხრობს დოპინგის კონტროლის პროცედურის შესახებ, რომელსაც ატარებს საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციები.

მოცემული რეკომენდაციები განკუთვნილია პირველ რიგში სპორტსმენტათვის, ასევე მწვრთნელებისათვის, სამედიცინო პერსონალისათვის, ოფიციალური პირებისა და სპორტსმენტის სხვა წარმომადგენლებისათვის.

რეკომენდაციები

მოცემული რეკომენდაციები შედგენილია საერთაშორისო ანტიდოპინგური პროტოკოლის (IADA), საერთაშორისო დოპინგ-კონტროლის (ISDC) სტანდარტისა და მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია დოპინგ-კონტროლის პროცედურა, რომელსაც ატარებს საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციები, როგორებიცაა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტი და ა.შ. მოცემული რეკომენდაციები განკუთვნილია არა მარტო სპორტსმენტათვის, არამედ მწვრთნელებისათვის, სამედიცინო პერსონალისათვის, ოფიციალური პირებისა და სპორტსმენტის სხვა წარმომადგენლებისათვისაც, რომლებიც ვალდებული არიან კარგად ერკვეოდნენ დოპინგ-კონტროლის პროცედურებში.

1. სპორტსმენტა შერჩევა ტესტირებისათვის

წლის განმავლობაში, წინასწარი შეტყობინებით ან მის გარეშე თქვენ შესაძლოა შერჩეული იყოთ დოპინგ-კონტროლის პროცედურის გასავლელად შეჯიბრზე, ვარჯიშზე, სახლში ან ნებისმიერ სხვა ადგილზე ყოფნისას. ტურნირის დროს, ტესტირებისათვის სპორტსმენტები ხშირ შემთხვევაში შეირჩევიან მათი შედეგიანობის ან შემთხვევითი შერჩევის (კენჭისყრის) საფუძველზე. არასატურნირო ტესტირებისათვის სპორტსმენტები შეირჩევიან კენჭისყრის შედეგად, თუმცა სპორტსმენტი შესაძლოა შემოწმებულ იქნას ანტიდოპინგური სამსახურის განსაკუთრებული გადაწყვეტილების საფუძველზეც.

2. სპორტსმენტის შეტყობინება

როგორც წესი, სპორტსმენტი იღებს პირად შეტყობინებას დოპინგ-კონტროლის პროცედურის გავლის შესახებ. დოპინგ-კონტროლის ინსპექტორი ან მისი თანმხლები პირი გატყობინებთ შარდის სინჯების ჩაბარების აუცილებლობის თაობაზე. თქვენ ასევე ინფორმირდებით თქვენი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, რომლითაც თქვენ ისარგებლებთ დოპინგ-კონტროლის პროცედურის დროს: კერძოდ, პროცედურის მსვლელობისას სპორტსმენტი უფლებამოსილია ჰყავდეს ერთი თანმხლები პირი, იგი ასევე უნდა იმყოფებოდეს დოპინგ-კონტროლის ინსპექტორის მეთვალყურეობის ქვეშ შარდის ჩაბარების პროცედურის დამთავრებამდე. მას

შემდეგ, რაც ანტიდოპინგური სამსახურის წარმომადგენელი დარწმუნდება, რომ თქვენ კარგად გაიგეთ თქვენი უფლება–მოვალეობები, იგი გთხოვთ ხელი მოაწეროთ სპეციალურ ფორმულარზე.

3. ჭურჭლის შერჩევა

როდესაც თქვენ მზად იქნებით პროცედურისათვის, აირჩევთ დალუქულ ჭურჭელს შარდის ჩასაბარებლად. სპორტსმენი პასუხს აგებს იმაზე, რომ ჭურჭელი იყოს მისი მეთვალყურეობის ქვეშ ლუქის მოხსნის მომენტამდე.

4. შარდის სინჯის ჩაბარება

თქვენ უნდა ჩააბაროთ დაახლოებით 100მლ შარდი ანტიდოპინგური სამსახურის წარმომადგენლის თანდასწრებით, რომელიც უნდა იყოს იგივე სქესის, რაც თქვენ. იმისათვის, რომ წარმომადგენელმა შეძლოს შარდის ჩაბარების პროცესის დაკვირვება, თქვენ უნდა გაიშიშვლოთ სხეული წელიდან თემოს შუა ნაწილამდე.

5. დოპინგ–სინჯის შემნახველი კომპლექტი

დოპინგ–კონტროლის ინსპექტორი მოგცემთ საშუალებას გააკეთოთ არჩევანი, თუ რომელ დალუქულ კომპლექტში მოხდეს შარდის სინჯის შენახვა, იდენტიფიკაცია და ტრანსპორტირება. თქვენ შემოგთავაზებენ რამოდენიმე ვარიანტს. თუ თქვენთვის ან თქვენი წარმომადგენლისთვის არ იქნება მისაღები შეფუთვის მდგომარეობა, თქვენ გაგაჩნიათ უფლება მოითხოვოთ კომპლექტის შეცვლა.

6. სინჯისადმი საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება

როდესაც თქვენ (თქვენი წარმომადგენელი) შეარჩევთ კომპლექტს, საჭიროა გახსნათ იგი და გამოიღოთ მისი შიგთავსი. ამის შემდეგ, თქვენ და თქვენს წარმომადგენელს გთხოვენ შეამოწმოთ ემთხვევა თუ არა ერთმანეთს ჭურჭელზე, თავსახურებზე და ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილ ყუთებზე არსებული საიდენტიფიკაციო ნომერი. დოპინგ–კონტროლის ინსპექტორიც თავის მხრივ გადაამოწმებს საიდენტიფიკაციო ნომერს და ჩაინიშნავს მას ანტიდოპინგური კონტროლის ფორმულარში.

7. სინჯის დაყოფა „A“ და „B“ ნიმუშებად. შეფუთვა

თქვენ უნდა გაავსოთ ჭურჭელი A და ჭურჭელი B შარდის გათვალისწინებული რაოდენობით და დახუფოთ იგი საცობით ისე, როგორც მიგითითებთ დოპინგ–კონტროლის ინსპექტორი. შემდეგ იგი გთხოვთ ამოატრიალოთ გამოყენებული ჭურჭელი, რათა დარწმუნდეს შიგთავსის გერმეტიულობაში. თვენმა წარმომადგენელმაც უნდა დაადასტუროს, რომ ნიმუში გერმეტიულადაა დახუფული.

8. pH–ის და შარდის სიმკვრივის შემოწმება

დოპინგ-კონტროლის ინსპექტორი შეამოწმებს შარდში pH-ის და სიმკვრივის დონეს – შეესაბამება თუ არა იგი სპეციალურ ნორმებს. იმ შემთხვევაში, თუ pH-ის და სიმკვრივის დონე არ შეესაბამება სტანდარტებს, თქვენ შესაძლოა გთხოვონ განმეორებითი დოპინგ-კონტროლის პროცედურის ჩატარება.

9. მიღებულ ნივთიერებათა ჩამონათვალი

დოპინგ-კონტროლის ინსპექტორი გთხოვთ ნებაყოფლობით წარმოადგინოთ პრეპარატების (ექიმის მიერ დანიშნული ან საკუთარი ინიციატივით მიღებული), საკვები დანამატებისა და სხვა ნივთიერებათა ჩამონათვალი, რომელიც მიღებული გქონდათ უკანასკნელი ათი დღის განმავლობაში. ეს ინფორმაცია იქნება შეტანილი ანტიდოპინგური კონტროლის ფორმულარში, რომელიც გაიგზავნება ლაბორატორიაში გამოსაკვლევად.

10. დოპინგის კონტროლის ფორმულარი

ფორმულარის შევსების შემდეგ, თქვენ და თქვენი წარმომადგენელი უნდა დარწმუნდეთ მასში შეტანილი ინფორმაციის სიზუსტეში. შემდეგ თქვენ უნდა მოაწეროთ ხელი ამ ფორმულარს, რითაც დაადასტურებთ, რომ ჩატარებული ანტიდოპინგური პროცედურით კმაყოფილი ხართ. თუ თქვენ არ დაგაკმაყოფილათ კონტროლის ჩატარების პროცედურამ, დააფიქსირეთ თქვენი აზრი ფორმულარის სპეციალურ გრაფაში, რომელიც განკუთვნილია კომენტარებისათვის.

11. ტესტირების პროცესის დასრულება

თქვენ მიიღებთ თქვენს მიერ ხელმოწერილი ფორმულარების ასლებს, რომლებიც უნდა შეინახოთ 6 კვირის განმავლობაში იმ შემთხვევისათვის, თუ გამოვლინდება ანალიზის არასასურველი შედეგები.

შემდგომი ნაბიჯები

ჭურჭელი თქვენი სინჯით დაილუქება, ჩაიდება სპეციალურ ჩანთაში ტრანსპორტირებისათვის და გაიგზავნება აკრედიტირებულ ლაბორატორიაში გამოსაკვლევად. ლაბორატორიაში მოხვედრის შემდეგ, სინჯი მოწმდება დაზიანებაზე ტრანსპორტირების დროს. ასევე მოწმდება, შეესაბამება თუ არა ჭურჭლის შიგთავსი დართული დოკუმენტაციის აღწერილობას. შემდეგ ლაბორატორია ატარებს „A“ სინჯის ანალიზს, ხოლო „B“ სინჯი რჩება დალუქული. არასასურველი შედეგის შემთხვევაში თქვენ მიიღებთ შეტყობინებას ლაბორატორიაში სინჯების ჩაბარებიდან 3–4 კვირის განმავლობაში. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში, სინჯი შესაძლოა ინახებოდეს ლაბორატორიაში გამოკვლევის ჩატარების გარეშე დიდი ხნის განმავლობაში.